



დავით აღმაშენებლის გამზ. N79  
0102 თბილისი, საქართველო  
info@heritagesites.ge

**სსიპ საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტო**

19 / თებერვალი / 2025 წ.

№ 17/440



სსიპ - სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების  
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,  
ბატონ ირაკლი ჩიქრაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 19 თებერვლის № 6/8969 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N2-ს მიმდებარედ არსებული 105 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თამარ მეფის გამზირი N2-ს მიმდებარედ არსებული 105 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „თამარ მეფის ხიდი“ (გის N4827) (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01/10/2007 N3/181 ბრძანება) ფიზიკური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.


დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N2-ს მიმდებარედ არსებული 105 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა, ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ყველა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე



პაატა გაფრინდაშვილი

